მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N2 (9289) 22 იანვარი. 2019 წელი ფასი 50 თეთრი

პური - ტენდერი - პური

იძულებითი დიეტა

2

საკრებულომ გადაწყვიტა

2

დაგროვებითი პენსია, ზრუნვა თუ...

2

ჭოლნდოლში სამშობლოზე მზრუნველი ვოლი სოჭართველოსთვის

5



კახა კალაძის საჩუქარი - მრავალშვილიან ოჯახს საკუთარი ჭერი ექნება

4

6

დეპუტატი იყო, ტვირთიც არის და პასუხისმგებლობაც

4

აკაკი შანიძის მემორიალური სახლ-მუზეუმი მაჟორიტარი დეპუტატის ხელშეწყობით რეაბილიტირებულია

პური - ტენდერი - პური

იძულებითი დიეტა

ზოგადად, ტენდერებსა და მის თანმდევ პრობლემებსა და უხერხულობებზე უკვე ხმამაღლა საუბრობენ, თუმცა უშედეგოდ.

ჩვენც არაერთხელ დაგვიწერია, რომ სოციალურად დაუცველ იმ ბენეფიციარებს, რომლებიც შესაბამისი პროგრამით კვირაში რამდენიმე პურს ღებულობენ, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს იძულებითი შიმშილი უწევთ, ყოველ შემთხვევაში მანამ, ვიდრე ტენდერში გამარჯვებული ის ორგანიზაცია გამოვლინდება, რომელიც უზრუნველყოფს პურით მათ მომარაგებას და, შესაბამისად, ამ უფლებით არიან აღჭურვილნი. მანამ კი ბენეფიციარები, უბრალოდ რომ ვთქვათ, უპუროდ არიან.

ასჯერ თქმულს გავიმეორებთ: ნუთუ, არ შეიძლება, ტენდერი ისე ჩატარდეს, რომ ბენეფიციართათვის პურის მიწოდება არ შეწყდეს?

ერთი და მთავარი: სამწუხარო და სავალალოა, რომ, როგორც ქვეყანაში, ისე ჩვენს მუნიციპალიტეტში, კვირის შესაბამის დღეებში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სახლის პირველ სართულზე პურის მომლოდინენი საკმაოდ მრავლად არიან. მეორეც, შეუძლებელია, ადამიან(ებ)ი კვირაობით ვალოდინოთ რამდენიმე პურისათვის და მედია იმ ტრენინგებს აშუქებდეს, ადამიანთა უფლებების დაცვას რომ ეძღვნება.

...

ერთ-ერთ მეზობელ მუნიციპალიტეტში ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციას მიუსაფარი ადამიანებისათვის კუბოები დაუმზადებია... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ლევან გაბეჩავა

საკრებულომ გადაწყვიტა

2019 წლის პირველი (რიგგარეშე) სხდომა გამართა 21 იანვარს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი კობა ძიძიგური უძღვებოდა.

"საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია მნიშვნელოვან გადაუდებელ ღონისძიებაზე იმყოფება. ამდენად, დღევანდელ სხდომას მე გავუძღვები.

გილოცავთ ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულს. დღეს გახლავთ აბო თბილელის ხსენების დღე. მიმდინარე წლის პირველი სხდომა იმართება, გილოცავთ ყველას და წარმატებებს, კეთილდღეობასა და ულევ სიხარულს გისურვებთ!" _ მიმართა ბატონმა კობა ძიძიგურმა შეკრებილთ.

"სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2019 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის შესაბამის განკარგულებაში ცვლილების შეტანა, არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის 2019 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 დეკემბრის შესაბამის განკარგულებებში ცვლილების შეტანა.

"სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის შესაბამის დადგენილებებში ცვლილებების შეტანა. აი, ნაწილი საკითხებისა, რომლებიც 21 იანვრის რიგგარეშე სხდომამ განიხილა და რომლებზედაც მომხსენებელი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბატონი შალვა არზუმანიანი გახლდათ.

წესისამებრ, საკრებულომდე ყველა საკითხი კომისიებზე იყო განხილული.

წარმოდგენილ საკითხთა ირგვლივ შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

ლევან გაბეჩავა

2 824 400 ლარი 2019 წელს სამტრედიაში დაიხარჯება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ "საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან მუნიციპალიტეტებს 110 564 488 ლარი გამოუყო. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის №6 განკარგულებით სამტრედიის მუნიციპალიტეტს რეგიონული განვითარების ფონდის დასაფინანსებელი პროექტებისათვის 2 824 400 ლარი შეხვდა. სულ 11 ლოტია, აქედან 10 ლოტი კი საგზაო ინფრასტრუქტურას მოიცავს, ერთი ლოტი კი _ 15 საბავშვო ბაღის ნაწილობრივ რეაბილიტაციას. დასაფინანსებელი ობიექტები ასე გამოიყურება:

ხორავას ქუჩა (თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგისტრალიდან გზაგამტარ ხიდამდე), ხორავას ქუჩა (გზაგამტარი ხიდიდან სოფ. ეწრის მიმართულებით) ასფალტბეტონის საფარის დაგება _ პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა 259 455 ლარია; სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. იანეთის მე-9 უბანში (მესხების უბანში) ასფალტბეტონის საფარის დაგება _ 234 602; ლარი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდ ჯიხაიშში, ხონი-დიდი ჯიხაიში-იანეთის საავტომობილო გზიდან "ნიგვზების უბანში" ასფალტბეტონის საფარის დაგება _ 87 087 ლარი; ნაბაკევის თემის სოფ. ნინუაკუთხეში ღანირის მიმართულებით ასფალტბეტონის საფარის დაგება _ 131 413 ლარი; სოფ. ნაბაკევის, სოფ. ჩხენიშის მიმართულებით (გაგრძელება) ასფალტბეტონის საფარის დაგება _ 53 296 ლარი; სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. ღანირში "ელიავას მინდვრიდან" სამხრეთის მიმართულებით ბეტონის საფარის დაგება _ 144 580 ლარი; სოფ. ეწრის ცენტრიდან "ჯიქთუბნის" მიმართულებით (გაგრძელება) ასფალტბეტონის საფარის დაგება _ 258 335 ლარი; ქ. სამტრედიაში, კარლო კალაძისა და კაპანაძის ქუჩებზე, მაიაკოვსკის მე-2, წერეთლის მე-2 და 9 აპრილის პირველ ჩიხებში ასფალტბეტონის საფარის დაგება _ 165 072 ლარი; ასფალტბეტონის საფარის მოწყობა შრომის, პაპავას, სანაპიროს, არკადი გეგეშიძისა და ლორიას ქუჩაზე _ 579 692 ლარი; სოფ. დიდი ჯიხაიშის ცენტრიდან ეწრის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია ასფალტბეტონის საფარით _ 574 544 ლარი; სამტრედიის მუნიციპალიტეტის №1, №2, №3, №5, №6, №7, №9 საბავშვო ბაგა-ბაღების ნაწილობრივი რეაბილიტაცია _ 336 324 ლარი. სულ ჯამი 2 824 400 ლარს შეადგენს.

ამჟამად სატენდერო დოკუმენტაცია მზადდება. მიმდინარე კვირაში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია ტენდერს გამოაცხადებს, რომლის მეშვეობით მშენებელი ორგანიზაცია გამოვლინდება.

ნინო ნანიტაშვილი

მოვუწოდებთ სამტრედიელ დამსაქმებლებს

სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის ფილიალში დასაქმების დეპარტამენტის წარმომადგენლობა 2014 წლიდან ფუნქციონირებს. სპეციალისტი თინათინ დუნდუა მუნიციპალიტეტში დასაქმების პროგრამას იმ დღიდან ემსახურება. კერძოდ, მის უფლებამოვალეობაში შედის დასაქმების პროგრამის შესახებ სამუშაოს მაძიებელთა ინფორმირება, დარეგისტრირება Worknet gov.ge-ზე, საშუამავლო მომსახურება. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმას, რომ, თუ სამუშაოს მაძიებლისთვის ვაკანსია მისაღები და მოსახერხებელია, თინათინ დუნდუა მოქალაქეს დამსაქმებელთან უშვებს, სამუშაოს მაძიებელთან ელექტრონულად აგზავნის შეტყობინებებს ვაკანსიის შესახებ.

ადრე დასაქმების დეპარტამენტი დამსაქმებლებს რეგისტრაციას არ ავალდებულებდა, წელს სიახლე დაინერგა.

"ვაკანსიის შემთხვევაში უნდა მოგვმართოს, რის შემდეგაც მოვახდენთ დამსაქმებლის რეგისტრაციას, მივუთითებთ მათ მოთხოვნებს. ამის შემდეგ დამსაქმებლისთვის შესაბამის კადრს ვეძებთ". _ გვეუბნება ქალბატონი თინათინი.

სპეციალისტი თინათინ დუნდუა მოძიებულ კადრს ჯერ თავად გაესაუბრება, უწერს საგზურის ფორმას და ამის შემდეგ ამისამართებს დამსაქმებელთან. ამა თუ იმ პირს, სამუშაოს მაძიებელს, აიყვანს თუ არა თანამშრომლად, ეს უკვე დამსაქმებლის გადასაწყვეტია.

თინათინ დუნდუა, სპეციალისტი: "მინდა ვისარგებლო შემთხვევით და "სამტრედიის მაცნეს" ფურცლებიდან მოვუწოდო სამტრედიელ დამსაქმებლებს, ითანამშრომლონ სოციალური სამსახურების სააგენტოებთან, ვაკანსიის შემთხვევაში მოგვმართონ და უფასოდ მიიღონ მომსახურება. ამით სასურველ კადრსაც მოიძიებენ და სამუშაოს მაძიებელს დასაქმებაში დაეხმარებიან".

ნინო ნანიტაშვილი

დაგროვებითი პენსია, ზრუნვა თუ...

დაგროვებითი პენსია, ანუ 40 წლამდე ასაკის ადამიანთათვის სავალდებულოდ გამხდარი, შემდეგ ეტაპზე კი ნებაყოფლობის საფუძველზე ხელფასებიდან გარკვეული რაოდენობის თანხის შენახვის (დაკავების) პროექტს, უფრო სწორად, ინიციატივას, აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.

ხელისუფლების ამ შეთავაზებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება შედეგია ხალხის მრავალგზის იმედგაცრუებისა. მოსახლეობას ან არ სწამს, ან ძნელად იჯერებს იმასაც კი, რაც, მართლაც, მათ ყოფაზე მოახდენს კეთილმყოფელ გავლენას. შავი დღისათვის დაზოგილი საბჭოთა მანეთები უფრო სტაბილურ პერიოდშიც კი ოხრად დაგვარჩინეს მეანაბრეებს. მერე, ისე დაეცა ეროვნული ვალუტის, კუპონის, კურსი, რომ ძნელად პროგნოზირებადი გახდა. როგორ, რა შეგვენახა, თუმცა თავის გატანაც კი ჭირდა მაშინ, არათუ ფულის შენახვა.

მთავრობის მხრიდან კიდევ ერთი სატყუარაა ყოველივეო, მოვისმინეთ ამ დღეებში. როგორც ამბობენ, გაჟეჟილს გატეხილი სჯობსო და ჩვენც (ამ წერილის ავტორსაც) გვაეჭვებს - როცა ლარი "მართვით სუნთქვაზეა", რამდენად დამაჯერებელია პროგნოზირება იმისა, რომ დღეს დაზოგილი ლარები ჩვენი მშვიდი სიბერის გარანტი იქნება? რა თქმა უნდა, ასეთ ყოფას თუ გავუძელით და საპენსიო ასაკამდე მივაღწიეთ.

დაბოლოს, მყარი, გამჭვირვალე გარანტიებია საჭირო და აუცილებელი ხალხისათვის ყოველგვარი ფინანსური სიახლის შეთავაზებისას.

ლევან გაბეჩავა

მძიმედ დაინგუო იანვარი!

იანვარში ლეტალური შემთხვევებით დასრულებული ავტოავარიებით, მწვავე რესპირატორული დაავადებებით, გაზით მოწამვლით გარდაცვლილთა სიმრავლეს, 16 იანვარს დიდ დიღომში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად მომხდარი აფეთქება დაერთო, რომლის დროსაც გარდაიცვალა ოთხი, მათ შორის ერთი ბავშვი და მძიმედ დაშავდა 8 ადამიანი. ამ ტრაგედიის გამო 17 იანვარი გლოვის დღედ გამოცხადდა ქვეყანაში და ყველა სახელმწიფო დაწესებულებაზე სახელმწიფო დროშა დაეშვა.

პურის ფულის საშოვნელად ჯარიის შეგროვებისას მიწაში ცოცხლად ჩამარხული 13 წლის ვიგა მამულაშვილი ქვეყნისთვის დიდი ტრაგედია და სირცხვილია!

თანავუგრძნობთ გარდაცვლილთა ოჯახებსა და მთელ საქართველოს!

გაახალგაზრდავდა სიკვდილი!

ნიჭიერი ჟურნალისტი და ტელეწამყვანი გამოაკლდა ქართულ მედიას. 34 წლის ასაკში ჟურნალისტ ლევან ჩხაიძეს გულმა უმტყუნა! ბოლოს ივი ტელეკომპანია TV პირველში მუშაობდა. ვუსამძიმრებთ მის ოჯახსა და კოლეგებს ამ დიდი დანაკლისის გამო.

გრიგოლ მიქელაძემ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებს ახალმოსახლეობა მიულოცა

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის, გრიგოლ (გია) მიქელაძის სტუმრობა სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის რაიონულ განყოფილებაში მის მიერვე გაწეული შრომის შედეგის გაცნობას ისახავდა მიზნად. განყოფილების ხელმძღვანელის, ქალბატონ ნარგიზა კაცაძისა და აქ დასაქმებული თანამშრომლებისაგან დეპუტატმა უამრავი სამადლობელი სიტყვა მოისმინა. თავის მხრივ კი, სარემონტო სამუშაოების შესრულების ხარისხით ძალზე კმაყოფილმა დეპუტატმა მადლობა მრავალგზის მოახსენა მშენებელი კომპანიის "ლადის" ხელმძღვანელს, გრიგოლ პატარიძეს და ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის განყოფილების თანამშრომლებს, რომლებიც ძალიან საპასუხისმგებლო საქმეს ასრულებენ და შესაბამისი ანაზღაურება არ აქვთ.

"სამტრედიის მაცნესთან" საუბარში გრიგოლ მიქელაძემ განაცხადა:

"უპირველეს ყოვლისა, მინდა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მივულოცო ახალი წელი, ვუსურვო ჯანმრთელობა, ბედნიერება, წარმატებები, კეთილდღეობა, მრავალი ახალი წელი მომელოცოს მათთვის. მე აქ ვიყავი გასული წლის ზაფხულში, დავათვალიერე აქაურობა, არ მეგულება ადგილი, მსგავსი მძიმე მდგომარეობა რომ ყოფილიყო, კატასტროფული მდგომარეობა იყო აქ, იცით, როგორი გაოცებული წავედი? მიკვირდა, ამ ხნის განმავლობაში აქ როგორ არ შემოვედი და როგორ არ ვნახე ეს ყველაფერი-თქო, შემრცხვა ჩემი თავის. თბილისში ჩასვლისთანავე ვინახულე ჯანდაცვის მინისტრი, ფოტოები, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს განყოფილება, ვაჩვენე უამრავ ადამიანს, დეპუტატი აკაკი ზოიძე ძალიან დამეხმარა, ასევე ჩაერთო აქტიურად ამ საქმეში დეპარტამენტის თავმჯდომარე მიხეილ დუნდუა, გულთან ძალიან მიიტანა, შეადგინეს პროექტი და აი, დღეს ხედავთ, აქ რა ხდება, რაც ჩვენ აქ დღეს ვნახეთ, ყოველგვარ მოლოდინს აკმაყოფილებს! ევროსტანდარტების დონეზეა ყველა სამუშაო შესრულებული! აი კიდევ ერთი გაკეთებული საქმე არამარტო აქ, არამედ, საქართველოში! მოვედი, რომ დღეს ეს სიკეთე მენახა და მომელოცა ამ თანამშრომლებისათვის, ეს რემონტი შესანიშნავია, მაგრამ მაწუხებს ის, რომ მწირი აქვთ ამ ადამიანებს ხელფასი. ისინი ბევრს გადაადგილდებიან, ბევრს დადიან, არაერთხელ გამოვდივარ ტელევიზიით და ვამბობ ხელფასების მატებასთან დაკავშირებით. მინდა მივულოცო თანამშრომლებს ეს ახალმოსახლეობა, ასევე ახალი ვაკანსიები უნდა გამოცხადდეს მომავალში."

დეპუტატის თქმითვე, კონკრეტულ შემთხვევაში 450 000 ლარის სამუშაოები შესრულდა. "ძალიან მიხარია, რომ სამტრედიაში გვყავს ასეთი მშენებელი გრიგოლ პატარიძე, და ასეთი კომპანია, რომელმაც ეს სამუშაოები ჩაატარა, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ამ სამშენებლო კომპანიას. განსაკუთრებით მინდა ადგილობრივი ძალებით გაკეთდეს ამ ქალაქში ყველა სასიკეთო საქმე!" - დასძინა დეპუტატმა.

გრიგოლ პატარიძე: "ჩვენი კომპანია - შპს "ლადი" 2003 წლის დავაფუძნეთ, ამ ობიექტის გასარემონტებლად სამი თვის ვადა გვქონდა და ჩავეტიეთ ამ ვადაში, ზოგადად, ძალიან ბევრი ობიექტი გაგვირემონტებია, იქნება ეს სკოლები, ბაღები და სხვა..."

იმავე დღეს გრიგოლ მიქელაძემ სკოლა "ცოდნის" წარმატებული მოსწავლე გიორგი ქავთარია მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში მიიწვია და კომპიუტერით დაასაჩუქრა.

აკაკი შანიძის მემორიალური სახლ-მუზეუმი მაჟორიტარი დეპუტატის ხელშეწყობით რეაბილიტირებულია

ნათია ნაცვლიშვილი

ბოლო ხანს მთელი ფეისბუქ-სივრცე აახმიანა გავრცელებულმა ფოტო-კადრებმა, თუ რა გულისმომკვლელად გამოიყურებოდა უდიდესი ენათმეცნიერის, აკაკი შანიძის, სახლ-მუზეუმი სოფელ ნოღაში. ამ პრობლემაზე ფართო საზოგადოებას საუბარი არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ძალიან სწრაფადვე ფეისბუქ-გვერდზე "ნოღა" (ვებ-გვერდის ადმინისტრატორი თათია გეგუჩაძე) აიტვირთა უკვე განახლებული და გარემონტებული სახლ-მუზეუმის ამსახველი ფოტომასალა.

_ მადლობა ბატონ გია მიქელაძეს, რომლის ხელშეწყობით და ძალისხმევით მოხდა ამ შენობის რეაბილიტაცია. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ. მერის წარმომადგენელმა ტოლების ადმინისტრაციულ ერთეულში, ალექსანდრე ბოცვაძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა: "თავდაპირველად პატარა ქოხი ამ ადგილას 1976 წელს აიგო, ენათმეცნიერის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მოგვიანებით, 1996 წელს, ამ ბუმბერაზი პიროვნების 110 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნისას სამტრედიის იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ სწორედ ის შენობა ააგო, რომელიც ახლა გარემონტდა. იმ შენობას კურირებდა და იქ არსებულ ექსპონატებს უვლიდა ნოღის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი, ქალბატონი ნათელა ბრეგაძე. მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ გია მიქელაძეს, რომელმაც გულთან მიიტანა ამ სახლ-მუზეუმის გასაჭირი და დააფინანსა მისი სარეაბილიტაციო სამუშაოები. შენობას სრულფასოვანი რემონტი ჩაუტარდა: გაკეთდა, კიბე, მოაჯირი, ეზო გაიწმინდა, ჭიშკარი გამოიცვალა, უდიდეს მადლობას მოვახსენებთ ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ გია მიქელაძეს, სოფლის და სკოლის სახელით უდიდეს მადლობას მოვახსენებთ ამ გაწეული დახმარებისათვის. შენობას გამოეცვალა კარი, ის უკვე იკეტება, აქვს კარგი ჭიშკარი, გაიწმინდა ეზო, უკვე შეგვიძლია გამოვფინოთ ყველა ჩვენთან არსებული ექსპონატი, მათ შორის არის ის ჩანთა, რომლითაც სახელოვანი მეცნიერი სიცოცხლის ბოლო წლებში დადიოდა უნივერსიტეტში, აქვეა თეზის მივმართეთ ამ მემორიალური სახლ-მუზეუმის აღდგენის თხოვნით... სამტრედიის მაჟორიტარ დეპუტატს, ბატონ გია მიქელაძეს, სოფლის და სკოლის სახელით უდიდეს მადლობას მოვახსენებთ ამ გაწეული დახმარებისათვის. შენობას გამოეცვალა კარი, ის უკვე იკეტება, აქვს კარგი ჭიშკარი, გაიწმინდა ეზო, უკვე შეგვიძლია გამოვფინოთ ყველა ჩვენთან არსებული ექსპონატი, მათ შორის არის ის ჩანთა, რომლითაც სახელოვანი მეცნიერი სიცოცხლის ბოლო წლებში დადიოდა უნივერსიტეტში, აქვეა მისი ნაშრომების მრავალტომეული, წინათ შენობაში ყოველთვის იყო წარმოდგენილი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიცია. მის უმცროს ქალიშვილთან, ლელა შანიძესთან ინახება უამრავი სამუზეუმო ექსპონატი, მაგრამ ამ ყველაფერს მეტი სივრცე ესაჭიროება, თუ აქ მართლაც აიგება უფრო დიდი შენობა, ტურისტულ მარშრუტში აუცილებლად ჩაისმება მომავალში ეს სახლ-მუზეუმიც."

კახა კალაძის საჩუქარი - მრავალშვილიან ოჯახს საკუთარი ჭერი ექნება

ნინო ნანიტაშვილი

გრანდიოზული საახალწლო კონცერტისთვის მზადება სამტრედიაში ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე 14 იანვარს დღის მეორე ნახევარში დაიწყო. ღია ცის ქვეშ გამართული სცენის მოპირდაპირე მხარეს სამტრედიელ მეწარმეებს გამოფენა-გაყიდვა მოეწყოთ, სახელდახელო ბაზრობაზე ის ნივთები და ტკბილეულობა გამოეტანათ, რაც ახალი წლის ღამეს ძალიან უხდება.

ქართული ესტრადის ვარსკვლავების გამოჩენამდე ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები სცენას რიგ-რიგობით იკავებდნენ, სამტრედიელი მომღერალი და მოცეკვავე გოგო-ბიჭები ქუჩაში სამხიარულოდ გამოსულ თანაქალაქელებს საახალწლო განწყობას უმაღლებდნენ.

კახა კალაძის ინიციატივითა და დაფინანსებით 2013 წლიდან სამტრედიაში გრანდიოზული საშობაო კონცერტი ყოველწლიურად იმართება. წელს იყო გამონაკლისი, 7 იანვრის ნაცვლად სახელოვანმა თანაქალაქელმა სამტრედიელებს ზეიმი ძველით ახალ წელს მოუწყო.

საღამოს წამყვანების, ამიკოსა და ფაქოს, გამოჩენას და ომახიან შეძახილებს ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე გასართობად გამოსული ადამიანების საპასუხო რეაქცია მოჰყვა და კონცერტიც გაჩაღდა.

ჯგუფები: "ბანი" და "შეტეხი", მომღერლები: სოფო ბედია, ლაშა ღლონტი, ნინი ქარსელაძე სამტრედიელი მაყურებლის წინაშე პოპულარული სიმღერებით წარსდგნენ.

ღონისძიებას ქუთაისელი სტუმრებიც ესწრებოდნენ: ჩოხოსანი შორენა ამაღლობელი და "ღირსების დარბაზის" დამფუძნებელი ზაზა სულაძე. ისინი განსაკუთრებული მისიით ეწვივნენ ჩვენს ქალაქს. ქალბატონმა შორენა ამაღლობელმა ჩოხოსანთა, ხოლო ბატონმა ზაზა სულაძემ "ღირსების დარბაზის" სახელით სიგელები გადასცეს კახი კალაძეს.

ძველით ახალი წლის ღამეს სამტრედიაში სიურპრიზის გარეშე არ ჩაუვლია. დავით კოხრეიძის ოჯახს კახა კალაძემ დიდ ჯიხაიშში სახლი შეუძინა. მრავალშვილიან ოჯახს ამიერიდან საკუთარი ჭერი ექნება.

ღონისძიებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ესწრებოდნენ სტუმრები იმერეთის გუბერნიიდან, მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან.

ძველით ახალი წლის კონცერტი სამტრედიაში გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

ჰოლანდიაში სამშობლოზე მზრუნველი გული საქართველოსთვის

თეა ბაბუნაშვილი

მამუკა თოდრიას სამტრედიაში იცნობენ, ისიც იციან, საქველმოქმედო ორგანიზაცია ''გული საქართველოსთვის'', მან რომ დააარსა საკუთარი სამშობლოს ღირსეული შვილობისთვის, რამდენ კარგ საქმეს აკეთებს. სხვა სხვაა და სამტრედიაში უკვე მეორედ ჩამოვიდა ჰოლანდიელი ხალხის მზავნილი, მამუკა თოდრიასა და მისი მეგობრების მიერ შეგროვებული და თავმოყრილი. საოფისე ავეჯით, სათამაშოებით, თბილი ტანსაცმლით და სხვა ინვენტარით დატვირთული ორი კონტეინერი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სახლში დაიცალა. სპეციალურად შექმნილი კომისია ტვირთს დანიშნულებისამებრ _ საბავშვო ბაღებში გადაანაწილებს. თბილი ტანსაცმელი სოციალურად დაუცველ მოსახლეობას გადაეცემა. საოფისე ავეჯის ნაწილი ადმინისტრაციულ სახლსაც დაამშვენებს.

ეს ქველმოქმედების პირველი შემთხვევა რომ არ გახლავთ, 2015 წელს გამოგზავნილი ტვირთის შეხსენებითაც დასტურდება. წინა ჯერზე ჩემი მშობლიური ტოლები დამეჩაგრაო, _ აღნიშნა მამუკა თოდრიამ სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ საკუთარ პოსტში. ამიტომ, ამჯერად ტოლების საბავშვო ბაღი და ადმინისტრაციული შენობა განსაკუთრებით უხვად დასაჩუქრდა.

ისიც ცნობილია საზოგადოებისათვის, წლების წინ სოციალური ქსელის მეშვეობით რომ მოძებნა მეგობარი სამტრედიის №54-ე საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნანა იმნაძემ. მაშინ იგი სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში მუშაობდა. მერე მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების უფროს ია ბერძულთანაც განახლდა მეგობრობა, მათ, თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის მერთან, ვალერიანე ფოცხვერიასთან. დაკავშირეს ჰოლანდიაში მცხოვრები ტოლებელი მამუკა თოდრია და კეთილი საქმეების კეთება მშობლიური მუნიციპალიტეტისთვის ასე დაიწყო.

ამჯერად უშუალო კონტაქტი ია ბერძულთან ჰქონდა მამუკა თოდრიას. ამიტომ, მან დაწვრილებით იცოდა ტვირთის შემადგენლობაც, რაოდენობაცა და ადრესატებიც. აღნიშნა კიდეც საუბარში: ''დანიშნულებისამებრ გადანაწილდება ეს გზავნილი. საკმაოდ დიდი მოცულობის ტვირთია, რაც საშუალებას მოგვცემს, ჯეროვნად აღიჭურვოს ის ორგანიზაციები, ვისთვისაც განკუთვნილია იგი. ქველმოქმედება, უპირველესად, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას და ბავშვებს სჭირდებათ. ამიტომ ეს კატეგორია ყურადღების ცენტრში განსაკუთრებულად იქნება.''

როგორც მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია აღნიშნავს: ''ეს მამუკა თოდრიას ქველმოქმედების არც პირველი შემთხვევაა და, იმედია, არც ბოლო იქნება. ამ ქველმოქმედ კაცს, დიახაც, უნდა იცნობდეს მუნიციპალიტეტი. ჩვენ ერთგვარი ხელშეკრულება გვაქვს დადებული, ტვირთის ტრანსპორტირების თანხას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იხდის. იგი დანიშნულებისამებრ იქნება გადანაწილებული.''

ჰოლანდიაში სამშობლოზე მზრუნველი ''გული საქართველოსთვის'', როგორც მისმა დამაარსებელმა მამუკა თოდრიამ გვითხრა, კვლავ საკუთარი ქვეყნის, მისი რაიონის და მშობლიური სოფლის სამსახურშია.

და ბოლოს! მამუკა თოდრია წლების წინ, სამტრედიაში ყოფნისას ჩვენი გაზეთის რედაქციით დაინტერესდა. მაშინ დაგვპირდა და... საქველმოქმედო ტვირთში ''სამტრედიის მაცნეც'' გახლდათ გათვალისწინებული. მისი სიტყვებით ვიტყვით: ''როგორც სამტრედიის მემატიანე, ეს გაზეთი ბევრს იმსახურებს!'' მადლობა მამუკა თოდრიას ამგვარი შეფასებისთვის, კეთილი სურვილებისთვის და მშობლიურ რაიონთან ერთად ''სამტრედიის მაცნეს'' არდავიწყებისთვის!





გულთა კავშირი

ძნელად მოეძებნება ანალოგი ქართველთა და ებრაელთა 26-საუკუნოვან უღალატო მეგობრობას. დღეს იმ ებრაელ ექიმზე გვსურს, ორიოდე სიტყვა ვთქვათ, მთელი ცხოვრება სამტრედიელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე რომ იდგა.

სოფელ კულაშში დაიბადა ბატონი ილია ბოთერაშვილი. უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ განვლო ჭბა უბნის ექიმიდან რაიონის სამედიცინო გაერთიანებისა და ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმამდე.

ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე უთენებია ავადმყოფთა საწოლთან და უზეიმია სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ილია ექიმს.

მაღალკვალიფიციური მკურნალი სამედიცინო საქმის ნიჭიერი ორგანიზატორიც გახლდათ. მისი ძალისხმევითა და უშუალო მონაწილეობით რაიონის მაშინდელ ხელისუფალთა თანადგომით ყოფილ რაიონული საავადმყოფოს შენობას (აიგო 1959 წელს) მიუშენდა 3-სართულიანი, იმ დროისათვის თანამედროვე ნაგებობა, რომელიც მაშინ დიდი გამარჯვება იყო.

პირადად ვარ მოწმე, უახლოესი ადამიანის მძიმე ავადმყოფობის გამო, როგორ უკავშირდებოდა ილია ექიმი მაშინდელი ლენინგრადის წამყვან კლინიკებში მომუშავე კოლეგებს და ღებულობდა მათგან კონსულტაციებს. რაიონის მთავარი ექიმის თანამდებობაზე ყოფნისას სრულად წარმოჩნდა ბატონი ილიას პროფესიული, ორგანიზატორული, ადამიანური თვისებები.

აღთქმულ ქვეყანაში მიმავალ კულაშელ ებრაელთა ერთ ნაკადს ბატონი ილია და მისი ოჯახიც თან გაჰყვა და გაიყოლეს მადლიერ პაციენტთა, ახლობელთა თბილი, კეთილი მოგონებები. ჩვენთვის უცნობია, როგორ წარიმართა ბატონი ილიასა და მისი ოჯახის ბედი, თუმცა, უკვდავია ხსოვნა იმ ურთიერთობებისა, მასთან რომ გვაკავშირებდა.

მისასალმებელია, რომ კულაშიდან წასული ებრაელებიც სითბოთი და სიყვარულით იგონებენ საქართველოში მათი ცხოვრების დაუვიწყარ წლებს.

სამარადისოა ჭეშმარიტი მეგობრობა. ურღვევია კავშირი გულთა შორის.

ლევან გაბეჩავა

დეპუტატი იყო, ტვირთიც არის და პასუხისმგებლობაც

ქეთევან ჭელიძე

"ეწერში ვერავის იპოვით, მერაპზე აუვი რომ თქვას, ყველას გვერდით უდგას, ვისაც კი მისი დახმარება სჭირდება". _ გვიხასიათებს თანასოფლელს სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს სპეციალისტი მაკა ჯვარშეიშვილი. მაკა არც ერთადერთია, ვინც მერაპ ულრელიძეზე ასე ამბობს. თავისი ცხოვრების წესით ივი სხვებისთვის მაგალითის მიმცემია. ეწრელებმაც ნდობა გამოუცხადეს და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მაჟორიტარ დეპუტატად ორჯერ აირჩიეს.

მერაპ ულრელიძე მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. მამა მეორადი ლითონის გადამმუშავებელი საამქროს დირექტორი იყო, დედა _ ბუღალტერი. მელაურის 8-წლიანი სკოლის (ახლანდელი მე-8 საჯარო) დამთავრების შემდეგ სწავლა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საბუღალტრო განყოფილებაზე გაგრძელა. დამთავრებისთანავე სამტრედიის დაფნის კომბინატში ბუღალტრად დაიწყო მუშაობა. სამხედრო-საგალდებულო სამსახური გაიარა და მისაღები გამოცდები ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგი) სატყეო აკადემიაში ჩააბარა. დაუსწრებლად სწავლობდა და პარალელურად ხის დამმუშავებელ კომბინატში მუშაობდა. იმუშავა ღანირის საკონსერვო ქარხანაშიც უსაფრთხოების ინჟინრად. კოოპერატივების ჩამოყალიბების პროცესში დაფნის კომბინატის ბაზაზე მცირე საწარმო "წიქარა" შეიქმნა, სადაც საამქროს ოსტატად დაინიშნა. საწარმოც საკმაოდ შემოსავლიანი იყო, პროდუქცია რუსეთში გაჰქონდათ. რამდენიმე წლის შემდეგ ისიც დაიხურა და ბატონმა მერაბმა ეწრის მეთესლეობის მეურნეობის დირექტორის მოადგილის თანამდებობა დაიკავა. მალე მცირე მეწარმეობას მიჰყო ხელი. ბიზნესს წარმატებით ართმევდა თავს, ვიდრე "ერგნეთის ბაზარი არ დაიხურა. სააკაშვილმა საზღვარი ჩაკეტა და ოსებთან ურთიერთობა დაიძაბა. თითქმის შერიგებულები ვიყავით, რუსეთში თავისუფლად გადავდიოდით"-ო ჰყვება. იძულებული შეიქნა, საქმისთვის თავი დაენებებინა. უქმად რომ არ ყოფილიყო, იმედა ვოვავას შეთავაზებას დასთანხმდა და "რესპუბლიკურ პარტიაში" გაწევრიანდა. იყო ამ პარტიის თავმჯდომარის მოადგილე. კოალიციურ მთავრობასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებაში "რესპუბლიკური პარტიაც" მოვიდა და მერაპ ულრელიძეც მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გახდა.

"პასუხისმგებლიანი ადამიანია, სოფელზე შეყვარებული. თავისი ცხოვრებისეული და სამსახურებრივი გამოცდილება საშუალებას აძლევს, ყველა საქმეს ჩასწვდეს, რაც ეწერს ეხება. კარგი მამა, კარგი ოჯახის პატრონი. შემიძლია ვთქვა, მერაბი რომ გვერდით არ მყავდეს, გამიჭირდებოდა საქმის კეთება". _ ასე შეაფასა ივი მერის წარმომადგენელმა ეწრის თემში რევაზ ივანიაძემ.

სოფლის კეთილმოწყობაზე ზრუნავს ბატონი მერაბი და მასთან დასახმარებლად მისულ ადამიანებსაც უყურადღებოდ არასდროს ტოვებს, საკრებულოში ინფრასტრუქტურის კომისიას ხელმძღვანელობს და სხვებთან ერთად ცდილობს, სამტრედია უკეთესი გახადოს.

თავისუფალი დრო ცოტა მაქვსო, ამბობს, თუმცა, მეგობრებთან ყოფნას და მოლხენას მაინც ახერხებს, ნადირობა და თევზაობაც უყვარს, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო საქმეების კეთება მისთვის მთავარია. "თუ ამას ჰობს დავარქმევთ, ალბათ, ეს სწორედ ისაა". _ გვითხრა მან.

მსიამოვნებს, ვტკბები, ფუტკრის სკებს თვალს რომ ვავლებო, _ გვიზიარებს განწყობას. ვარდა იმისა, რომ 125 სკა აქვს და მაღალი ხარისხის თაფლს აწარმოებს, მწყერის მოშენებითაც არის დაინტერესებული. აღარაფერს ვამბობთ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვზე, ფრინველზე, სიმინდის მოსავალზე, ბოსტნეულზე და ა. შ. ამ ყველაფერს კი მშობლებთან და მეუღლესთან, მარინა ვაშაკიძესთან, ერთად უძღვება. ქალბატონი მარინა ქალაქის №8 საჯარო სკოლის პედაგოგია. ბატონ მერაბს ორი შვილი ჰყავს: ვლადიმერი და ნათია. ვლადიმერი მცირე საწარმო "პინგვინში", წლებია, მუშაობს, ხოლო ნათია თბილისში, ილიას სახელობის უნივერსიტეტში კათედრაზე დარჩა და აზერბაიჯანელ და სომეხ ახალგაზრდებს ქართულს ასწავლის. ენის უკეთ შესწავლის მიზნით მათთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს შექმნაშიც მიიღო მონაწილეობა. ივი ერთ-ერთი იყო, უნივერსიტეტის პროგრამით ორი წლის მანძილზე სისტემატიურად რომ მიდიოდა ბოლნისში, სადაც აზერბაიჯანელებსა და სომხებს ქართული ენის დაუფლებაში ეხმარებოდა.

ფიზიკურ შრომას არც შვილები თაკილობენ. არა მარტო ეწერში, დაბა ურეკშიც, სადაც ოჯახს საკუთარი ბიზნესი აქვს წამოწყებული, ისინიც აქტიურად ეხმარებიან უფროსებს.

სამართლიანი ადამიანი ვარო, დასძენს მერაბ უღღელიძე და ჩვენს კითხვებსაც შეულამაზებლად პასუხობს.

_ სოფელში ბევრს უჭირს ცხოვრება. პირუტყვიც ჰყავთ და მეურნეობასაც ეწევიან. მაგრამ დღევანდელ ბაზართან შედარებით ნაშრომს იმდენი შედეგი არ მოაქვს, თავი დაიკმაყოფილონ. მით უფრო, თუ პარალელურად სხვა სამსახური არ აქვთ. თანაც, ეწერში მიწა ხარისხიანი არ არის, დაბალი კატეგორიისაა. შესაბამისი მოსავალი რომ ვერ მიიღო, გული აუცრუვდა გლეხს და თბილისში წავიდა სამუშაოდ. მიგრაციაც მაღალია, ერთ დროს 1200 კომლი ცხვრობდა ეწერში. ამჟამად 740-ია. ჩემს უბანში 26 კომლი იყო და ახლა, ძირითადად, 6 კომლი დავრჩით.

_ **თქვენ როგორც სახელმწიფო მოხელე, გამოსავალს სად ხედავთ?**

_ ალბათ, მიდგომები უნდა შეიცვალოს. ძალიან ბევრი მიწაა დაუმუშავებელი. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს გლეხს, ან ინვესტორი უნდა მოვიზიდოთ. მთელი სივრცე ტყედ და საძოვრადაა გადაქცეული. იშვიათად, რომ ვინმე მიწას ამუშავებდეს.

_ **როცა სახელმწიფოს დახმარებაზე ვსაუბრობთ, ხენა-თესვის პროგრამა გავიხსენოთ. რამდენად შედეგიანი იყო იგი თქვენი სოფლისთვის?**

_ პირველ წელს შედეგი ჰქონდა. ამინდებმაც გაამართლა. ჩვენთან ისეთი მიწაა, ზაფხულში ხშირი წვიმებია საჭირო. მეც, პირადად, 2 ჰექტრამდე მიწას ვამუშავებ, სიმინდს ვთესავთ. ვინც შეძლო სიტუაციას მორგებოდა, სხვა რამეზე გადაერთო _ ყვავილები მოჰყავთ. ასეთი 7-8 ოჯახია. ერთმანეთს ცოდნას, გამოცდილებას უზიარებენ, საქმეც კარგად აქვთ და კარგადაც ცხოვრობენ. სოფელში, ძირითადად, მეცხოველეობას მისდევენ. როცა მოსავალი დაბალია და მხოლოდ ერთი-ორი ძროხის შენახვა შეგიძლია, ეს მხოლოდ თავის რჩენაა და მეტი არაფერი.

_ **დაბალი კატეგორიის მიწამ რით უნდა დააინტერესოს ინვესტორი, არსებობს თუ არა მათი მოზიდვის პერსპექტივა და რისი მოყვანაა ასეთ ნაადგზე შესაძლებელი?**

_ ჩვენთან მოცვი ხარობს კარგად. უკვე გამოჩნდა დაინტერესებული პიროვნება, რომელმაც შეისყიდა მიწა და შვიდ ჰექტარზე აპირებს მოცვის გაშენებას. ადრე იქ ჩაის კულტურა იყო, ახლა მთლიანად გატყევებულია ტერიტორიები. გახსოვთ, შაქარს და ფქვილს არიგებდნენ, ჩაის პლანტაციებისთვის რომ მიეხედათ.

ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგაც ითქვა ჩაის კულტურის აღორძინებაზე. ცხადია, იცით მარტინ ბაუერის შესახებ. სამტრედიაში უცხოელმა ინვესტორმა შეისყიდა მაშინ ჩვენი ჩაის ფაბრიკა. უსასყიდლოდ გადასცეს პლანტაციებიც, მაგრამ აშენებას დაგვპირდა და კიდევ უფრო მეტი პრობლემები შექმნა ამ მიმართულებით. ახლა საძოვრადაც აღარ ვარგა ის ტერიტორიები.

_ **რუსეთთან დაძაბული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, ბევრი თვლის, რომ ქვეყანაში საერთო ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ბევრადაა დამოკიდებული მასთან სავაჭრო ურთიერთობაზე. გამოცდილებიდან გამომდინარე რა აზრის ხართ ამასთან დაკავშირებით?**

_ ჩემსავით, ვინც ინსტიტუტი რუსეთში დაამთავრა, ყველას ნოსტალგია აქვს, მაგრამ პოლიტიკურად გამართლება არ აქვს რუსეთის ქმედებას, მით უფრო, ერთმორწმუნე ერი ვართ. აფხაზეთი და ოსეთი გამოიყენა შიდა დაპირისპირებისთვის. მანამდე უთანხმოება ჩვენს შორის არასდროს ყოფილა. ახლაც ბევრი მეგობარი მყავს ოსეთში, ერთმანეთს ვუკავშირდებით და ყველას სურვილია ურთიერთობის აღდგენა.

რაც შეეხება რუსეთის ბაზარს, მას მთელი მსოფლიო მიელტვის. ყველაფერი გადიოდა ჩვენგან იქაურ ბაზარზე. 500 კილოგრამ ხილს წაიღებდნენ და "ჟიგულები" ჩამოჰყავდათ. მარტო საქართველოს ბაზარი მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ისეთი ხარისხიანი პროდუქცია კი არ გვაქვს, რომ თურქეთსა და ევროპაში გავიტანოთ და გავყიდოთ.

მომავალში მიდგომა უნდა შეიცვალოს. სიმინდი მომგებიანი კულტურით უნდა ჩავანაცვლოთ. მიწას ანალიზი სჭირდება, რაც საშუალებას მოგვცემს, უკეთესად განვავითარო სოფლის მეურნეობა. მოსახლეობა იმედს თხილზე ამყარებდა, მაგრამ ნახეთ, ფაროსანამ როგორ გაანადგურა. მარტო სამტრედიაში თითქმის მილიონ-ნახევარი ლარის რეალიზაცია ხდებოდა. ეს ხომ იზარალა მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ და, წარმოიდგინეთ, ქვეყნის მასშტაბით რამდენი დაკლდა ბიუჯეტს. გლეხი თავის ნაწარმს ევროპაში თვითონ ვერ გაიტანს. ამაში სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. კარგი იქნება, დამზადების ცენტრებიც თუ ამუშავდება. მოუვლელობით ხილს პრობლემები შეექმნა. გადაშენების ზღვარზეა ბევრი და მათ შორის წითელი ტყემლის ჯიშიც. დაინტერესებულ პირს ურჩევნია თვითონ კი არ აწარმოოს, უცხოეთიდან აქეთ შემოიტანოს ესა თუ ის პროდუქცია, რაც მეტ მოგებასაც დაუტოვებს. ეს სახელმწიფოსთვის კარგი არ არის. ისარგებლებს ამ ბიზნესში ჩართული 10, 20 და თუნდაც, 100 კაცი, მაგრამ ათასობით გლეხი რჩება უმუშევარი.

ამ ბოლო დროს, პროცესი ნელ-ნელა ამოძრავდა. მაგალითად, მუშაობა დაიწყო პროექტმა "აწარმოე საქართველოში". თუ ვინმე მოისურვებს, კაკალს მოაშენებს, ჩვენთან მაყვალიც კარგად ხარობს...

_ **მაგრამ ძნელად რომ ბანკებმა პროექტებთან დაკავშირებით კრედიტი გასცეს და ამის საკმაოდ ბევრი მაგალითი არსებობს.**

_ კრედიტს დანიშნულებისამებრ უნდა იყენებდე. ბევრი ინდმეწარმე დღეს იმდენ ვალსა და სესხშია გახლართული, უჭირს გადახდა. სესხი რომ აიღო ბიზნესისთვის, მოგეხსენებათ, ქართველი კაცის ფსიქოლოგია, "ჯიპი" იყიდა, სახლი გაარემონტა. უკვე იმ ბიზნესის განვითარებისთვის კი თანხა საკმარისი აღარ აღმოაჩნდა. ვალში გადავარდა. მეორე წელს ისევ აიღო სესხი და ახლა, იცით, რომ სახელმწიფომ მოანაბრეების ოთხ მილიარდამდე ვალი გადაიხადა. სესხი მიზნობრივად უნდა გამოიყენო. არ ვამბობ, რომ ყველა მოქალაქე ასე იქცევა. ვინც წარმატებული ბიზნესმენია სამტრედიაში, ყველას ეტყობა. ჯერ უნდა ააწყო საქმე და შემდეგ უნდა მისცე თავს ფუფუნების უფლება.

მე ისევ სოფლის მეურნეობას დავუბრუნდები. როგორ შეიძლება მისი განვითარება, როცა რაიონში აგრონომი არ გვყავს. დაინტერესებაც ნაკლებია. გახსოვთ, ალბათ, კულაშის ზოოვეტერინარული ტექნიკუმი რამდენ კადრს უშვებდა. დღეს მოთხოვნილება ახალგაზრდებს სხვა პროფესიებზე უფრო აქვთ, მაგრამ ინსტიტუტების დამთავრების შემდეგ თავიანთი სპეციალობებით უმეტესად ვეღარ საქმდებიან. კარგია, რომ დიდი ჯიხაიშის კოლეჯი ფართოვდება და რამდენიმე ფაკულტეტი დაემატება. ყველაფერს სწავლა და დაგეგმვა სჭირდება. სიმინდიც რომ მოიყვანო, ისიც უნდა დაგეგმო, ისე კარგ მოსავალს ვერ მიიღებ. რა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურაც უნდა განვითარდეს. გზა თუ არ არის, ვერც სოფლამდე მიხვალ. რაც ჩვენთან გზები დაიგო, ალბათ, სხვაგან არც ერთ მუნიციპალიტეტში ამდენი არ დაგებულა. ორ წელიწადში ქალაქის ტერიტორიაზე და თითქმის ყველა სოფელში მოასფალტებული გზები გვექნება.

_ **რა არის თქვენთვის საკრებულოს დეპუტატობა? გაქვთ პოლიტიკაში დიდხანს ყოფნის სურვილი?**

_ პოლიტიკაში მოსვლა არ განმიხრახავს იმიტომ, რომ იგი ჩემთვის იქნებოდა სასარგებლო. ისეთი დაუტვირთავი პერიოდი მქონდა, ვერ ვეგუებოდი და ვცდილობდი, რაღაც მეკეთებინა. თანდათანობით შევყევი საქმიანობას და უფრო და უფრო საინტერესო გახდა ჩემთვის პოლიტიკა. ბევრი ადამიანი გავიცანი, მეგობრები, ურთიერთობები... დეპუტატი იყო, ტვირთიც არის და პასუხისმგებლობაც. მიფიქრია, ბიზნესს რომ გავყოლოდი, მეტად წარმატებული ვიქნებოდი და ფინანსურადაც უფრო ძლიერი. თუ, საჭირო გახდა, ხვალვე წავალ პოლიტიკიდან, ოღონდ, აქ ჩემზე უკეთესი მოვიდეს. ახალგაზრდებს ვურჩევ ხოლმე, მაგრამ პოლიტიკაში მოსვლის სურვილი არ აქვთ. პოლიტიკოსი სკამის დაკავების ინტერესის, თანამდებობის გამო არ უნდა გახდე. პოლიტიკა ბინძურიაო. ბინძურია მაშინ, თუ მას ბინძური იდეებისა და განწყობის მქონე ადამიანები აკეთებენ. სადაც ხარ, წესიერად უნდა იმუშაო. ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეში ხალხიც უნდა მონაწილეობდეს, არა მარტო პოლიტიკოსები, ისინიც უნდა ზრუნავდნენ ქვეყანაზე.

გზას აგებ და ზოგიერთი მოსახლე ამით ნაკლებად ინტერესდება. გზა დაიგება და მერე, თუ სადმე პატარა წყლის გუბე დადგა, გისაყვედურებს. არხს რომ არ ამოწმენდ საკუთარ ჭიშკართან და ამის გამო ეზოში წყალი გიდგას და სახელმწიფოს ადანაშაულებ, არა სწორია. ყველა ერთად თუ ვიზრუნებთ მუნიციპალიტეტსაც ეშველება და პირადად ჩვენც. თითო აგურს თუ ყველა დავდებთ, შევძლებთ, ყველაფერი უკეთესად იყოს. მარტო კი არაფერი გამოგვივა.

ჩემი შესაძლებლობები ამოვწურეთქო, არა, მაგრამ ორი მოწვევის დეპუტატი რომ ხარ, უკვე აღარ შეიძლება, კენჭი კვლავ იყარო. მუდმივად ეგ არისო, ხალხს არ ვათქმევინებ. თუ ვინმეს დავჭირდები და რამეს შემომთავაზებენ, მუშაობას გავაგრძელებ, თუ ზედმეტი ვიქნები _ ჩემით წავალ.

აქ ყოველთვის ხალხმრავლობაა

ლევან გაბეჩავა

მოდიან სამტრედიელები, ქალაქიდან თუ სოფლებიდან. როგორც მუნიციპალიტეტში მცხოვრებნი, ასევე ის პიროვნებები, რომლებიც წლების განმავლობაში საქართველოს სხვა ქალაქებში ან საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოებში ცხოვრობენ. მოდიან და სამადლობელიც მრავლად მოგვისმენია არქივის წარმომადგენლისადმი, რომელიც გერმანული სიზუსტით 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე მუშაობის აქტიურ რეჟიმშია.

"სამტრედიის მაცნეს" შეკითხვებს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი ქალბატონი ნატო მიქაძე პასუხობს.

- გთხოვთ, გვესაუბროთ, არქივის მიზნებსა და ამოცანებზე.

სამტრედიის ადგილობრივი არქივის წარმომადგენლობის მიზანია საარქივო ცნობების დარეგისტრირება-გაცემა და ეროვნული საარქივო ფონდის შევსება. აქვე განვმარტავთ, რომ მოქალაქეებს საარქივო ცნობების დარეგისტრირება და პასუხის მიღება შეუძლიათ ადგილმდებარეობის მიხედვით საქართველოში მოქმედ ნებისმიერ საზოგადოებრივ ცენტრსა და იუსტიციის სახლებში, რა თქმა უნდა არქივში მიუსვლელად. ეს სერვისი ელექტრონულად ხორციელდება. განცხადების დარეგისტრირებისთანავე არსებობს SMS შეტყობინების სერვისიც.

- არქივის ფუნქციებზე გვესაუბრეთ.

არქივის ფუნქციაში შედის, აგრეთვე, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილ საარქივო საქმეებზე ზედამხედველობა და კონტროლი. კერძოდ, იმ დაწესებულებებში, რომელთა დოკუმენტები ეროვნულ საარქივო ფონდს განეკუთვნება, შემოწმება იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს საქმის წარმოება; არის თუ არა გაფორმებული დოკუმენტები საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად; აქვს თუ არა ვინმეს ბრძანებით დაკისრებული საარქივო საქმეზე პასუხისმგებლობა და ა.შ.

- ვადაგასულ დოკუმენტებთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?

- ჩვენი ვალდებულებაა, როგორც ამჟამად ფუნქციონირებადი, ისე ლიკვიდირებული ორგანიზაციებიდან მოვახდინოთ დოკუმენტების საარქივო წესით დამუშავება და ჩავაბაროთ (ჩვენს შემთხვევაში) ქუთაისის ცენტრალურ არქივს.

- და მაინც, უფრო ხშირად რა საკითხზეა ხშირი მომართვიანობა?

- დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების, განქორწინების, საქტო ჩანაწერების, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების, კომლის შემადგენლობის და ა. შ. თაობაზე. ამათგან განათლების და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი საარქივო ცნობა პერსონალური ინფორმაციაა, რაც გულისხმობს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას და გაიცემა იმ მოქალაქეებზე, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს პერსონალური ინფორმაცია, ან დაინტერესებულ პირზე, რომელიც წარმოგვიდგენს სანოტარო წესით დამოწმებულ თანხმობას.

- რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, საარქივო მომსახურება დადგენილი წესით ფასიანია. ვრცელდება თუ არა შეღავათები და რომელ კატეგორიაზე?

- არქივში დაცული დოკუმენტების სარგებლიანობის მიზნით გაწეული მომსახურებისათვის, სახეობების მიხედვით საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, დაწესებულია საფასური, მოქმედებს შეღავათები.

- გმადლობთ საუბრისათვის.

მერის ნაძვის ხე და გახარებული პატარები

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის მერის ნაძვის ხის საზეიმო მიღება სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით, ტრადიციულად, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა. წლეულს საპატიო სტუმრებად მოწვეულნი იყვნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს სამტრედიის სახანძრო-სამაშველო განყოფილების (ხელმძღვანელი ვლადიმერ კოპალეიშვილი) წარმომადგენლები თავიანთ შვილებთან ერთად. ამ ღონისძიებას ყოველთვის ესწრებიან დღის ცენტრ "ლამპარის" ბენეფიციარი ბავშვები, ტრადიცია არც წლეულს დარღვეულა. ისინი კარგად გაერთვნენ და ბევრი იხალისეს. საერთო-საყოველთაო მხიარულების შექმნაზე, მოწვეული სტუმრების გახალისებასა და განწყობის ამაღლებაზე გასართობი ცენტრის "მიკი და მინი მაუსის" წარმომადგენლებმა იზრუნეს. შეკრებილთ პირველი მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია მიესალმა: "გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, ძველით ახალი წელი არის ნამდვილად ახალი წელი, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, სიამოვნებით გეტყვით, რომ სტუმრად მოვიწვიეთ სამაშველო სამახურის წარმომადგენლები და მათი შვილები, ეს ადამიანები ჩვენგან იმსახურებენ ბევრ შექებას, ისინი დღისით, ღამით, წვიმასა და თოვლში ემსახურებიან არა მარტო ჩვენს, არამედ, მეზობელ მუნიციპალიტეტებსაც, მადლობა მინდა მოვახსენო კულტურის სამსახურს, ასევე, ჩვენთან მყოფ ზღაპრის გმირებს, მასპინძელს, ქალბატონ ტატა გოგუაძეს, რომელიც ყოველწლიურად გვითმობს ამ ლამაზ სცენას."

მერმა ღონისძიების დასასრულს მონაწილეობა მიიღო საჩუქრების დარიგებაშიც. "სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა შეხვედრაზე მყოფ ხელისუფლების წარმომადგენლებს.

დავით ბახტაძე, მერის მოადგილე: "პირველ რიგში, გილოცავთ შობა-ახალ წელს, წარმატებების და ყოველივე კარგის მომტანი ყოფილიყოს იგი თითოეული ქართული ოჯახისა და ჩვენი მოქალაქისთვის, ტრადიციულად, ჩვენთან იმართება საახალწლო ღონისძიება - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის ნაძვის ხე, წლევანდელ ღონისძიებაზე ბავშვების განსაკუთრებული კონტინგენტია მოწვეული, წლეულს სოციალურად დაუცველი ოჯახების და შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებთან ერთად სახანძრო-სამაშველო სამსახურის თანამშრომელთა ბავშვებიც არიან, ამ ბავშვებს ყველას ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ!"

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია:

"ძალიან კარგი დღეა, სიკეთე და კეთილი მომავალი, მინდა ბედნიერი და ლამაზი წლები ვუსურვო ამ ახალგაზრდებს, დარწმუნებული ვარ, ისინი ღირსეული მამულიშვილები იქნებიან".

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური: "რა თქმა უნდა, ახალი წლის მობრძანება ყველასთვის სასიხარულოა, განსაკუთრებით პატარებისათვის, სწორედ ასეთი ღონისძიებაა მერის ნაძვის ხე, ჩვენც ვუერთდებით, გვიხარია, რომ ჩვენს ახალგაზრდებს, მომავალ თაობას კიდევ ერთ სიხარულს მივანიჭებთ დღეს".

მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე: "ტრადიციულად ტარდება მერის ნაძვის ხის ზეიმი სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისათვის, მონაწილეთა ასაკი სამიდან ათი წელია, წლეულს სიახლეა ის, რომ განსაკუთრებული მოწვევით მოვიწვიეთ მეხანძრეთა შვილები, 12 ბავშვი, ვულოცავ მთელ საქართველოს შობა-ახალ წელს, ბედნიერების, სიხარულის და სიუხვის მომტანი ყოფილიყოს იგი, განსაკუთრებულად ვულოცავ ემიგრანტ ქართველებს და ვუსურვებთ მათ სამშობლოში დაბრუნებას."

იქ, სადაც იმედის ლამპარი ინთება

თეა ბაბუნაშვილი

ნათლისღების წინადღეს, როცა საახალწლო მილოცვები ჯერ ისევ არ სრულდება, დღის ცენტრ "ლამპარში" კიდევ ერთხელ ზეიმობდნენ ახლად დამდგარი კიდევ ერთი წლის შემობრძანებას. ლექსით და სიმღერით მიესალმნენ მოწვეულ სტუმრებს და თოვლის ბაბუას საჩუქრების მოლოდინით უმასპინძლეს.

დღის ცენტრი "ლამპარი", დღესდღეობით 14 ბენეფიციარს რომ ემსახურება, სამტრედიაში და არა მხოლოდ აქ, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ყველაზე კარგი საშუალებაა. მსგავსი დაწესებულებები საქართველოში არაერთგანაა, რომლებსაც სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია კურირებს. განათლების, განვითარებისა და დასაქმების დღის ცენტრების პროგრამების კოორდინატორი სოფიო კუპატაძე საზეიმო ნაწილის დაწყებამდე იმ ღონისძიებებსა და აქტივობებზე საუბრობდა, მსგავს ცენტრებში თავმოყრილი ბავშვების გააქტიურებასა და გათვითცნობიერებას რომ უწყობს ხელს. მან ერთგვარი ანგარიში წარუდგინა შეკრებილ საზოგადოებას დღის ცენტრის მუშაობისა და სამომავლო გეგმების თაობაზე. "მშობლებიც დაგვეთანხმებიან, იმაში, რომ მსგავსი დაწესებულებები, უპირველესად, ამ ბავშვების განვითარებისთვისაა აუცილებლად საჭირო. მათ ემახსოვრებათ, როგორები იყვნენ ისინი აქ მოყვანამდე და რამდენად დიდი წინსვლა აქვთ აქ მოხვედრის შემდეგ." გარდა ამისა, ყურადღება იმ პრობლემებზე, საჭიროებებსა და მიღწევებზე გაამახვილდა, გასული წლის განმავლობაში რომ იყო "ლამპარის" ყოველდღიურობა. ხაზი გაუსვა აღმზრდელებისა და დამხმარე პერსონალის დაბალ სახელფასო ანაზღაურებას, იმას, რომ ბავშვების ტრანსპორტირება მათთვის დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. და კიდევ არაერთ საკითხს, შეეხო, რომელთა მოგვარება დღის ცენტრს, ესოდენ რთულ საქმეს რომ აკეთებს, მუშაობის პროცესს გაუადვილებს. "ვეხმარებით 6-დან 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს იმ სოციალური და აკადემიური უნარების გამომუშავებაში, საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას რომ გაუადვილებთ. რაც შეეხება დღევანდელ ღონისძიებას, ის ერთგვარი ანგარიშია ჩვენი მეგობარი ორგანიზაციებისთვის, თუ რისი გაკეთება შეეძელით მთელი წლის განმავლობაში." _ ამბობს სოფიო კუპატაძე.

როგორც ყოველთვის, მეგობარი ორგანიზაციები ხელდამშვენებულები მივიდნენ "ლამპარის" აღსაზრდელებთან. იმ დღის თოვლის ბაბუა, როგორც არაერთხელ, ამჯერადაც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალი" გახლდათ, რომლის წარმომადგენელმა სოფიო ჩაფიძემ საჩუქრები გადასცა მათ.

დღის ცენტრის კიდევ ერთი მეგობარი, წითელი ჯვრის სამტრედიის რაიონული ორგანიზაცია და მისი წარმომადგენლები, საჩუქრებით ხელდამშვენებული ხშირად რომ მოინახულებენ ხოლმე აქაურობას, ღონისძიების საპატიო სტუმრები გახლდნენ.

საპატიო სტუმართა რიცხვში იყო მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო. მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ ტკბილეული გადასცა ბავშვებს და იმ პრობლემებსა და საჭიროებებზე, დღის ცენტრს რომ აქვს, კიდევ ერთხელ აიღო პასუხისმგებლობა. კეთილი სურვილები და საახალწლო მილოცვები მის სიტყვებშიც უხვად იყო. დღის ცენტრის ბინადრები მას ხშირი სტუმრობის გამო კარგად რომ იცნობენ, მისი გამოჩენისთანავე ერთ-ერთი მათგანის გულწრფელი მისალმებით _ გამარჯობა ვალერი! _ დადასტურდა. მასთან ერთად ღონისძიებაზე საკრებულოს წარმომადგენლები, მერიის კულტურის სამსახური და მისი ხელმძღვანელი ნატალია მანჯგალაძეც გახლდათ მიწვეული.

ხმამაღლა აღნიშვნის ღირსი ნამდვილად არის საკრებულოს წევრის, უმრავლესობის ლიდერის, ტარიელ დვალიშვილის ქველმოქმედება. საკუთარი ხელფასიდან გარკვეულ თანხას იგი ყოველთვიურად ურიცხავს აქაურ აღსაზრდელებს და ამას ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებს. დიახ, ბევრმა არ იცოდა და ეს ბევრმა უნდა იცოდეს!

საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია საკუთარ გამოსვლაში ხაზს უსვამდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება, ზოგადად, განათლების სისტემის დაფინანსებასა და სათანადოდ მოწესრიგებას უნდა მიექცეს. ამგვარი ცენტრების დაფინანსება კი კიდევ უფრო დიდი რუდუნებით გადასაწყვეტი თემა უნდა იყოს. "არ არსებობს საკრებულოში შემოსული არც ერთი საკითხი, რომელიც ამ დაწესებულების საჭიროებებზე წინ იქნება დაყენებული, რომელიც აქაურ პრობლემებს გადასწონის და რომლის მოგვარების წინააღმდეგაც ვინმე წავა ჩვენი შემადგენლობიდან."_ აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

დღის ცენტრის აღსაზრდელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საყულიის საჯარო სკოლის პედაგოგი ლანა დოღონაძეც მიესალმა, რომელიც საკუთარ მოსწავლეებთან ერთად ხშირად სტუმრობს აქაურობას. "ჩემი მოსწავლეები უკვე იყვნენ აქ და მას შემდეგ ხშირად მთხოვენ, რომ კიდევ ერთხელ მოვიყვანო აქაურების სანახავად. იმედია, ჩვენი შეხვედრები გახშირდება და ამ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას ჩვენი სტუმრობითა და მეგობრობითაც შევუწყობთ ხელს." _ განაცხადა მან.

იმ დღეს ლამპარში ვარსკვლავი გაიხსნა, მეგობრობის ვარსკვლავი მისმა ბინადრებმა სტუმრად მოსულ გულშემატკივრებთან მეგობრობის ნიშნად გახსნეს.

აღსანიშნავია, რომ დღის ცენტრის მომსახურება ხორციელდება სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. პროგრამას სოციალური მომსახურების სააგენტო აფინანსებს. სააგენტოს სამტრედიის ფილიალის წარმომადგენელმა ნარგიზა კაკაძემ საჭიროების შემთხვევაში სათანადო მხარდაჭერა აღუთქვა დღის ცენტრის მესვეურებს.

საჩუქრებმა გაახარა დღის ცენტრის აღსაზრდელები. "ლამპარში", სადაც მომავლის იმედის ლამპარი ყოველდღიურად ინთება, კიდევ ერთმა იმედიანმა დღემ სიხარული მოიტანა.

ჩემი უნივერსიტეტი

შვილის ჭარბი სიყვარული ასწლოვანი მშობლის მიმართ

ლეჟან გაბეჩავა

წელზე მეტია, რუბრიკა "ჩემი უნივერსიტეტი" გრძელდება, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუკუნოვან იუბილეს ეძღვნება. ამჯერად ამაგე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი ანრი წაქაძეა "სამტრედიის მაცნეს" სტუმარი.

ანრიმ მე-11 საჯარო სკოლა დაამთავრა. კეთილ მოგონებად შემორჩა მის მეხსიერებას სკოლის, მოსწავლეობის განუმეორებელი ხანა.

რამაზ ოდიკაძე, ვანო მახარაძე, მაია ლორია, ნუნუკა ქუთათელაძე, ნინო ასათიანი, აზა სულავა... აი, არასრული ჩამონათვალი პედაგოგებისა, ჩვენთვის ბოლომდე რომ იხარჯებოდნენო, - ანრიმ. რესპონდენტს სამადლობელი არც დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლის პედაგოგებისადმი დავიწყნია. ქალბატონი ქეთევან ხაჟალია გახლდათ ჩემი პირველი მასწავლებელი, ვინც გალობა შემასწავლა, შემდეგ კი ქალბატონი იზო რუსაძე, - გვიყვება ანრი. რაც შეეხება გალობას, ვინც ანრის იცნობს, მოეხსენება, რომ იგი გახსნის დღიდან წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის წევრია, რაც განუზომელ პატივად აქვს აღქმული.

პროფესიის არჩევა ოჯახურმა ტრადიციამ გადააწყვეტინა. დედ-მამა იურისტებია, იურისტი იყო ბაბუა.

"დიდი პატივია, ვიყო საქართველოს დედაუნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. ლექციებს საქვეყნოდ ცნობილი პროფესორები ლადო ჭანტურია, ბესარიონ ზოიძე, გიორგი ხუბუა გვიკითხავენ. უნივერსიტეტის შემდეგ სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში მსურს. მინდა, როგორც პროფესიონალმა, ჩემი წვლილი შევიტანო ჩემი საყვარელი სამტრედიისა და სამშობლოს კეთილდღეობის საქმეში". - საოცარი გულწრფელობით გვითხრა მრავალთაგან მრავალგზის თქმული რესპონდენტმა.

თავისუფალი დრო, მართალია, ცოტა აქვს, თუმცა მშვიდი, კლასიკური მუსიკის ფონზე წიგნის კითხვას მაინც ახერხებს და სიამოვნებასაც იღებს. გოდერძი ჩოხელი, დოსტოევსკი... ის მწერლებია, რომელთა ნაწარმოებებსაც არაერთხელ მიბრუნებია წასაკითხად.

"ოჯახი ადამიანის პიროვნების განმსაზღვრელია. უდიდესია მისი როლი პიროვნების სულიერ-ზნეობრივ ფორმირებაში. რაღა თქმა უნდა, საზოგადოებასთან კავშირში. პატივისცემა ქალისადმი, უფროსებისადმი, სტუმრისადმი ქართული ოჯახის ფენომენია. წმინდათაწმინდაა ქართველი კაცისათვის ოჯახის ერთიანობა, სიმტკიცე. ასე იყო, ასეა და ასეც უნდა იყოს". _ საუბრობს ანრი.

რას ნიშნავს შენთვის დედა? ჩვენს ამ კითხვაზე საოცარი სითბო ჩაეღვარა მზერაში და საოცარი სითბოთივე ალაპარაკდა: "დედა ჩემთვის ყველაფერია. მან ქალის სუსტი მხრებით ლამის შეუძლებელი გააკეთა ჩემთვის, გმირობასთან, სიმამაცესთან, უდიდეს სიყვარულთან ასოცირდება დედა ჩემთვის". - გვითხრა და არაერთი ფაქტი გაიხსენა, მათ მართლაც საოცარ დედაშვილობაზე რომ მეტყველებს.

სინანულით მოიგონა ანრიმ სამზეოდან ნაადრევად წასული მისი მოძღვარი, დეკანოზი ათანასე (რუხაძე).

მე-8 თუ მე-9 კლასში იყო როცა, როგორც ერთ-ერთ სასკოლო პროექტში გამარჯვებულ მოწინავე მოსწავლესთან, ინტერვიუ ჩავწერეთ. არცთუ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ და აი, უკვე ჩემს წინ არათუ სტუდენტი, უკვე ჩამოყალიბებული პროფესიონალი, ცხოვრების ავ-კარგში ჩახედული, მეგობრებისათვის საყვარელი, დედის, აღმზრდელების დამფასებელი ნიჭიერი ახალგაზრდა იჯდა.

გეთანხმებით, ჩვენო ანრი, ადამიანის პიროვნებას მისი ოჯახი რომ განსაზღვრავს. შენთან საუბარში ცხადი გახდა, ოჯახიდან ბევრი რამ კარგი რომ შეგითვისებია.

მალე ჩვენი რესპონდენტი უკვე როგორც საქართველოს დედაუნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, უნივერსიტეტში მიღებულ საფუძვლიან ცოდნას სრულად მოახმარს საქართველოს კეთილდღეობას, მერე მისით ოჯახი, ახლობლები და ჩვენც ერთნაირად ვიამაყებთ. ლამის საუკუნის "სამტრედიის მაცნე" კი ფეხდაფეხ აედევნება, რათა შეუფასებელი არ დარჩეს ანრის ყოველი წარმატება.

ამ წერილს მადლიერება წერს

თეა ბაბუნაშვილი

ეს მადლობის ხმამაღლა სათქმელად დაწერილი წერილია, მას მადლიერება წერს იმ პატარა ბიჭისა, ხელმოკლე ოჯახში რომ იზრდება. იმ ბიჭისა, დიდ ფეხბურთელობაზე რომ ოცნებობს, მით უმეტეს, ამის ყველანაირი მონაცემი აქვს, თუმცა შესაძლებლობა საკუთარი თავის შემდგომი რეალიზაციისა, ნიჭის გამოვლენისა, საყვარელ საქმეში დაოსტატებისა, ნაკლები!

ირაკლი კოპალეიშვილი ჯერ 14 წლისაა. ფეხბურთზე შეყვარებული სამტრედიაში საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა. ეწრიდან, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობს, სიარული უსახსრობის გამო

ძირითადად ფეხით, უკეთეს შემთხვევაში ველოსიპედით უწევდა. ამიტომ მამამ სავარჯიშოდ დიდ ჯიხაიშში გადაიყვანა. ახლა მას კობა მიქაძე ავარჯიშებს. განსაკუთრებულ მონაცემებს სპორტის ამ სფეროში ყოველთვის ავლენდა, მაგრამ დიდ ფეხბურთზე ოცნება ოცნებად რომ არ დარჩეს, მონაცემების გარდა სხვაც ბევრია საჭირო!

ვამბობთ იმ ადამიანების გასაგონად, ნიჭის დაფასება რომ უყვართ და ამის ფინანსური შესაძლებლობებიც აქვთ, ეწერში ირაკლი კოპალეიშვილი ცხოვრობს, უბრალო ოჯახში იზრდება, ოჯახში, სადაც მხოლოდ შრომით ფონს ძნელად გადიან. ჰოდა, 14 წლის ირაკლის, როგორც იტყვიან, "კარგი პატრონი" სჭირდება, მათ რიგებში ჩასადგომად, საქართველოს სახელი შორს რომ გაიტანეს.

მანამდე კი, მანამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის რაიონული სამმართველოს დიდი ჯიხაიშის პოლიციის განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელმა ზაზა რევიშვილმა, რომელსაც სწორედ ეწრის უბანი აბარია, ირაკლის თამაში შემთხვევით ნახა და მისით დაინტერესდა. საუკეთესო საფეხბურთო მონაცემები არ უნდა დაიკარგოსო, გვითხრა საუბარში. ოჯახის ეკონომიურ მდგომარეობაზე, ბუნებრივია, გაგებული ჰქონდა უბნის ინსპექტორს, მის ყველა წევრს იცნობდა. დახმარება გადაწყვიტა და მისი ქველმოქმედება კოპალეიშვილების ოჯახისთვის ასე დაიწყო. როგორც საკუთარ სახლში, საკუთარი შვილებისთვის, ისე მიაქვს ირაკლისა და მისი დისთვის ის, რისი შესაძლებლობაც აქვს. უბნის ინსპექტორი ზაზა რევიშვილი სერგო კოპალეიშვილის ოჯახისთვის ყველაზე საიმედო ადამიანია. ირაკლი და დედამისი ინგა მიქაძე რედაქციაში მასზე მადლობის სათქმელად თავად მოვიდნენ. "იგი ყველაზე კეთილია, ვისაც ვიცნობ." _ ამბობს 14 წლის ეწრელი ბიჭი, რომელიც ახლა სწავლობს, რას ნიშნავს სიკეთის უანგაროდ კეთება.

გარდა ეკონომიური დახმარებისა, ზაზა რევიშვილი ეძებს გზებს, ირაკლი სპორტულ სკოლაში მოახვედროს, სადაც საკუთარი მონაცემების გამოვლენის მეტი შანსი ექნება. ამისთვის დახმარებას თხოვს ყველას, ვისაც მსგავს სიტუაციებში დახმარება შეუძლია.

დღეს გაჭირვებით ვერავის გააკვირვებ, სამწუხარო ისაა, სიკეთის კეთება რომ უფრო გასაკვირი გახდა. ჰოდა, იმ ერთეულებს შორის, ქვაზე დადებული მადლის შემოქმედნი რომ შეუძლიათ იყვნენ, უბნის ინსპექტორი ზაზა რევიშვილიც გახლავთ, ადამიანი, რომელსაც უბრალო ადამიანურ მოვალეობად მიაჩნია საკუთარი შვილების ლუკმა სხვის შვილებსაც გაუნაწილოს ნიჭის არდასაკარგად, მოყვასის სიყვარულის გამო.

და ვისაც რამენაირი კითხვა აქვს, პასუხად ამ წერილით შეგვიძლია ვუთხრათ, ადამიანობა ყველაზე დიდი პროფესიაა, ადამიანი კი ყველა უნდა იყოს არა მხოლოდ გარეგნულად, გულით და მოწოდებით!

ამ კეთილი კაცის გვერდში დგომით, ჯერჯერობით ასე იწყებს, მერე, დიდ სტადიონებზე რომ დაიქუხებს მისი სახელი, ირაკლი კოპალეიშვილი არასდროს დაივიწყებს, რომ სიკეთის კეთება ზაზა რევიშვილმა ასწავლა, ველოსიპედიც მან უყიდა და ქვაზე დადებული მადლი არ უნდა დაიკარგოს. ამის პირობა უკვე დადო, აქ ჩვენთან, "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში, სადაც მადლობის ხმამაღლა სათქმელად მოვიდა.

27 იანვარს ნინოობაა, გილოცავთ!



გაზაფხულისთვის აქედანვე უნდა ვემზადოთ

ლევან გაბეჩავა

წინაპართა ამ ბრძნულ შეგონებას მნიშვნელობა არც სადღეისოდ დაუკარგავს. პირიქით, გავრცელებული ვირუსების, ეპიდემიების, მავნებლების ფონზე უფრო აქტიური გახდა მათ წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ბრძოლა. ბოლო ხანს საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული გახდა თხილის კულტურა და განსაკუთრებულადვე შესამჩნევია თხილის მავნებლის დაავადებების არსებობაც.

"თებერვლის შუა რიცხვებამდე აუცილებელია მოხდეს თხილის ნარგავების დამუშავება რკინის ძაღის ხსნარით" (რკინის გოგირდმჟავა - მარილი), აუცილებელია აგრეთვე, მოხდეს კვირტის ტკიპისაგან მცენარის გათავისუფლება, სამწუხაროდ, ბევრს კვირტის ტკიპა თხილის ყვავილი ჰგონია. იგი უნდა მოვაცილოთ მცენარეს და აუცილებლად დავწვათ, რათა შიგ მობინადრე მავნებლები ისევ მცენარეებზე არ აღმოჩნდნენ". _ გვიხსნის სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორი სამტრედიაში, ბატონი მიხეილ სხვიტარიძე, რომელიც ეს-ესაა დაბრუნდა აჭარის რეგიონიდან, სადაც, როგორც სპეციალისტი მონაწილეობდა ციტრუსის ექსპორტში. 19 000 ტონამდე ციტრუსი იქნა ექსპორტირებული აჭარიდან რუსეთში, უკრაინასა და ყაზახეთში. _ გვითხრა ბატონმა მიხეილმა და დასძინა, რომ მოსახლეობას კილოგრამ ციტრუსში 70-80 თეთრი გადაუხადეს, ვნახეთ ციტრუსის ბაღები, სადაც 20 ტონა მოსავალიც კი მოჰყავთ, თუმცა, არის მოუვლელი ნაკვეთებიც, ასე რომ, ვინ როგორ გაისარჯა, მოსავალიც იმის მიხედვით მიიღო. ექსპორტირებული ციტრუსის 80 პროცენტი რუსეთში გავიდაო, ბატონმა მიხეილმა.

...

მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაური ცხოველების დროული ვაქცინაცია რომ ბევრ უხერხულობას აგვარიდებს, ამაზე უკვე აღარ დავობენ, გასული წლის შემოდგომაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტში, იქ, სადაც კერები იყო დაფიქსირებული, მოხდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის აცრა ჯილეხზე, მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე განხორციელდა თურქულის ვაქცინაცია.

2018 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე 9000-ზე მეტი ძაღლი და კატა იქნა ვაქცინირებული ცოფზე. მიმდინარე წლის მარტის შუა რიცხვებიდან, ანუ გაზაფხულიდან ვაქცინაცია კვლავ გაგრძელდება, რა თქმა უნდა, სახელმწიფო პროგრამით. ვთხოვთ მოსახლეობას, გაგებით მოეკიდონ ამ პროცესს. ისინი კი, ვინც წინააღმდეგი იქნებიან, კანონის შესაბამისად დაისჯებიან. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორმა სამტრედიაში ბატონმა ზაზა მეგრელიშვილმა.

"სმაილი" სამტრედიისთვის

თეა ბაბუნაშვილი

უხვად იყო ღიმილი. მხიარული ფერებით სავსე თბილი გარემო სასიამოვნო მუსიკის თანხლებით, გასართობად იწვევდა ყველას, დიდსა და პატარას. სხვაგვარად ვერც იქნებოდა გასართობი ცენტრის პრეზენტაციაზე. ლენტი სტუმრად მიწვეულმა მუნიციპალიტეტის მერმა პატარა ბადრი ადეიშვილთან ერთად გაჭრა. ამიერიდან აქ მხოლოდ სიცილი დაისადგურებს, ამიტომაც დაარქვეს "სმაილი"!

თანამედროვეობა ასე მეტყველებს, "სმაილიც" თანამედროვეობას ეხმიანება. თუმცა, იგი სხვა მსგავსი ცენტრებისგან იმითაც იქნება განსხვავებული, რომ არა მხოლოდ პატარებს, სურვილის შემთხვევაში უფროსებსაც გაულამაზებს დასამახსოვრებელ დღეებს. განსხვავებული პროგრამა, ანიმატორები და საყვარელი ზღაპრის გმირები, დიჯეი, საგულდაგულოდ შერჩეული მენიუ, განწყობას მორგებული ინტერიერი, ღირსშესანიშნავ დღეებს კიდევ უფრო ღირსშესანიშნავს გახდის. "სმაილის" მენეჯერი ნინო ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, რომ: "მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ბინაზე მომსახურებაც. მენიუ და სადღესასწაულო პროგრამა გათვლილია ყველა სოციალური შესაძლებლობის მქონე მომხმარებელზე და მისი ფასი 10 ლარიდან იწყება. შევეცდებით, განსხვავებულები ვიყოთ სხვა მსგავსი ტიპის ცენტრებისგან და განსაკუთრებული დღესასწაულები მოვუწყოთ ჩვენთან მოსულ სტუმრებს."

გასართობი ცენტრი "სმაილი" ეკონომიკის სამინისტროს პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში შეიქმნა. იგი სამტრედიაში თამარ მეფის №19-ში მდებარეობს. პროგრამა სახელმწიფოსა და დაინტერესებულ პირს შორის წილობრივი მონაწილეობით დაფინანსებას რომ გულისხმობს, საზოგადოებისთვის ცნობილია. მასში მონაწილეობა საინტერესო პროექტის დაწერის და მისი კონკურსში გამარჯვების შედეგად ხდება. სახელმწიფო თანხის 80, ხოლო დაინტერესებული პირი 20%-ს გადაიხდის. პროექტების დაფინანსება 20 ათასი ლარის ფარგლებში ხდება.

როგორც მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია აღნიშნავდა: "სასიამოვნოა, რომ სამტრედიაში კიდევ ერთი ასეთი ობიექტი გაიხსნა. მართალი გითხრათ, გასართობი ცენტრები მუნიციპალიტეტში ბევრი არ გვაქვს, ამიტომ ორმაგად სასიამოვნოა, ამ ხასიათის ობიექტის გახსნა."

სადღესასწაულო ტორტი "სმაილის" ემბლემით იქვე გაიჭრა. მხიარულება უკვე დაიწყო "სმაილში", ამიერიდან კიდევ უფრო გაჩაღდება ივი, რადგან წვეულებების სიმრავლე უნდა დაებედოს მას.

სამტრედიელი მოჭიდავეების წარმატება ეროვნულ ჩემპიონატზე

ნათია ნაცვლიშვილი



წარმატებით დაიწყო 2019 წელი სამტრედიელი მოჭიდავეებისათვის. 9 იანვრიდან 13 იანვრის ჩათვლით საქართველოს დედაქალაქმა უმასპინძლა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში დიდებს შორის. ჩემპიონატი სპორტის სასახლეში ვაიმართა. იგი სამტრედიელებისთვის წარმატებული აღმოჩნდა. აღნიშნულ შეჯიბრში მონაწილეობდნენ ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბის "ფალავანი" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრები. ედემი ბოლქვაძემ 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა, 4-დან ოთხივე შეხვედრა მოიგო და ჩემპიონობა არავის დაუთმო. აღსანიშნავია ისიც, რომ ედემი რამდენიმე დღის წინ გამართული, ოცდასამწლამდელთა შორის საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულიც არის. ვია ავალიანი 70 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილის მფლობელი გახდა. 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვოვა ძიგუამ მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. (ამ სპორტსმენების მწვრთნელები არიან ბიძინა მელაშვილი და ზაზა არქანია). 86 კილოგრამ წონით კატეგორიაში დემურ მეგენეიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა. (მწვრთნელები ვეფხია და ლაშა სტურუები).

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გიორგი მელიამ 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა და საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულიც გახდა! (მწვრთნელი ვია ვახტანგაძე). ეს სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში. ვულოცავთ ამ წარმატებებს ჩვენს სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს, მრავალრიცხოვან გულშემატკივარს, განსაკუთრებით კი სამტრედიის საჭიდაო კლუბ "ფალავანს" და მის დირექტორს, ბატონ ირაკლი მელაშვილს და კიდევ არაერთ გამარჯვებას ვუსურვებთ!

7 წლის ლუკა რუხაძე უკვე მეორეთანრიგოსანია ჭადრაკში

2019 წლის საუკეთესო დასაწყისი... შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირში პირველკლასელი, 7 წლის ლუკა რუხაძე ჩემპიონი გახდა და მეორე თანრიგიც მოიპოვა, ხოლო მისი და ხატიაც პირველ ადგილზე გავიდა და შესაბამისად მესამე თანრიგოსანი გახდა. ასე რომ, ხატია და ლუკა რუხაძეებმა ერთმანეთს ტოლი არ დაუდეს და ჩემპიონობაც არავის დაუთმეს.

მეორე თანრიგოსან მოჭადრაკეებს შორის მესამე ადგილზე გავიდა გიორგი ბურკაძე.

ჩემპიონები დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებითა და თასებით. მათ დაოსტატებაზე კი მუხლჩაუხრელად ზრუნავს კვალიფიციური მწვრთნელი ბატონი ბესო ლეჟავა, რომელსაც არაერთი წარმატებული ჩემპიონი გაუზრდია.

ვულოცავ ნიჭიერ მოჭადრაკეებსა და მათ მწვრთნელს ამ წარმატებას!

გულიკო გოგიტიძე

ჯელავლო, ფაზისისა და ქალღვას მეცნიერებათა აკადემიების წევრი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ტოლების სამუსიკო სკოლის დირექტორი, ღირსეული სამტრედიელი, ბატონი

იური შანიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რესპუბლიკის ქუჩაზე მცხოვრები უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ როზა ლაბარტყავას და მამუკა ნადირაძეს დისა და დეიდის, ქალბატონი

დარეჯანის

გარდაცვალების გამო.

გოგრის ზეთის კაფსულები

მთლიანი კოლოფის შეძენისას

20 %-იანი

ფასდაკლებით მხოლოდ სახალხო აფთიაქში

- იგი საუკეთესო ანტიოქსიდანტია და აძლიერებს იმუნურ სისტემას.
- აწესრიგებს მხედველობის პრობლემებს .
- აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება.
- რკინის მაღალი შემცველობის გამო იგი სასარგებლოა ანემიის მქონე პაციენტებისათვის
  დადებითად მოქმედებს სასუნთქი სისტემის დაავადებებზე.
- აბალანსებს კუჭის წვენის მჟავიანობას

სახალხო აფთიაქი
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

ატოჯერით ვაუჩერი და ტოტალი
სახალხო აფთიაქში
ვაუჩერის ვადა 28 თებერვლამდე
სამტრედია, ჟანტარიას ქ. #2, ტელ: 597126868;
სამტრედია, ჭავჭავაძის ქ. #, ტელ: 597126868
პროდუქტზე დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 032 249 59 59

ვულოცავთ!

ბაჩანა ჩაბრაძეს!

დედი, ნათლისღებას, 19 იანვარს მოევლინე ამ ქვეყანას. უფალმა დაგანათლა მზე და სინათლე გულსა და თვალებში, თავმდაბლობა და სამართლიანობა, ცოდნის ძიება, შენიანების გვერდში დგომა და დაფასება, ასევე სხვათა ნიჭისა და სიკეთის პატივისცემა, ადამიანთა ტკივილისა და სიხარულის გულთან მიტანა, შემოქმედებითი ნიჭი... მადლობა უფალს ყოველივე ამისთვის!

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ვაჟკაცო! მარად სიხარული, სიკეთე და შემოქმედებითი წვა ზენიტში გქონოდეს!

იღვაწე, იხარე და იბედნიერე შენს ძვირფას ოჯახთან ერთად!

შენი დედიკო

ტატო ჩაბრაძეს!



4 წლის შესრულებას გილოცავ, ჩემო ტატო, ვერცხლისწყალივით მოუსვენარო, ქართულ-ფრანგულ ენაზე მოსაუბრეე, ენატეტიკავ. ჩემო ძვირფასო ბიჭუნავ, ჩიტივით გეჭიკჭიკოს, ქარივით გენავარდოს, მზე და სინათლე არ გამოგლეოდეს გულსა და თვალებში, სამშობლოს სამსახურად მგლის მუხლი დაგყოლოდეს, თავმდაბალი და სამართლიანი, ღვთისმოშიში და ადამიანთა სადარდელ-გასახარელის გულთან მიმტანი, უფროს-უმცროსის მცნობი და პატივისმცემელი, ცოდნის მაძიებელი, სხვათა ნიჭისა და გულის დამფასებელი, მაგრამ საკუთარ ღირსებათა მცოდნე და გამომყენებელი გაზრდილიყავი. ხომ გესმის, რამდენს გთხოვ ბებიკო, საყვარელო, ჩემო მზეგულავ, იუბილეს გილოცავ, გაიზარდე ჯანმრთელი, სასახელო ვაჟკაცი, დედიკოს, მამიკოს, ბებოებისა და ბაბუს გულების გასახარად!

შენი გულიკო ბებო

გივი (გივიკო) მიგინეიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უფალი გმეგზურობდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს.

ბეჭან გოგია

მადლობა!

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციისადმი თანადგომისა და უანგარო დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ბატონებს, ***ალექსანდრე კლარჯეიშვილსა და მამუკა ხუჭუას.***

ექიმი, რომელსაც სამტრედია ძლიერ უყვარს

ჩვენი რაიონის ყველასათვის საყვარელ, გამორჩეულ ექიმ-კარდიოლოგს, ქალბატონ ნათელა ვაშაკიძეს, მალე 70 წელი შეუსრულდება. ჩვენი რაიონის ყველა მცხოვრები, რომელსაც შეხება ჰქონია მასთან, დამეთანხმება, რომ იგი არამარტო კარგი ექიმია, გულისხმიერი, თავმდაბალი, კეთილშობილი ადამიანია. ის ყოველთვის უანგაროდ ემსახურება თავის პაციენტებს. მისი ბიოგრაფია მრავლის მომცველია, წარჩინებული სკოლის მოსწავლე, ნევისპირა დიდ ქალაქში წარჩინებული სტუდენტი, საუკეთესო კლინიკების ექიმი, საუკეთესო მეგობარი, კარგი დედა, კარგი მეუღლე და რაც ყველაზე მთავარია, მას უზომოდ უყვარს თავისი მშობლიური ქალაქი სამტრედია. " ვერ გავძეხი სამტრედიის სიყვარულით" (ეს მისი სიტყვებია).

გულის ტკივილს გულით კურნავს,
ხალხის მაჯა უდევს ხელში,
ვერავინ ვერ შეეცილა
პაციენტთა სიყვარულში.

თავმდაბლობა, სათნოება
არის მასში უფლის ნება,
მთელ სიცოცხლეს ურჩევნია
პაციენტთა გადარჩენა.
ეფერება ჩვენ თბილ ქალაქს,
მის ბაღნარებს, ლამაზ ქუჩებს,
მისი ერთი თბილი სიტყვა
ყველა ტკივილს გააყუჩებს.
მის აწმყოს და მის მომავალს
შეაფასებს ალბათ, წლები,
გვიხარია, შვიდ ათეულს
ყმაწვილური ხიბლით ხვდები.

მადლიერ პაციენტთა სახელით ქალბატონ ნათელა ექიმს ვუსურვებთ ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს. კიდევ დიდხანს იღვაწოს ჩვენი გულების გადასარჩენად!

ნათელა ვაშაკიძე

გოგრის ზეთი სასიცოცხლო ენერგიით აგავსებთ!

დღეში 0, 5 მგ გოგრის ზეთი შეგიმცირებთ სისხლში ქოლესტერინის დონეს, გაგიუმჯობესებთ მეხსიერებას, მოგიწესრიგებთ მხედველობას, გაგიძლიერებთ იმუნიტეტს.

გოგრას, რომელიც საქართველოში ძალიან გავრცელებული პროდუქტია, ფართო გამოყენება აქვს ხალხურ მედიცინაში. მის ფოთლებს, ნაყოფს თუ თესლს აქტიურად იყენებდნენ ჩვენი ბებიები და მათი ბებიები, ეს პროდუქტი დღესაც არ ჰკარგავს აქტუალობას. სასარგებლოა გოგრის მირთმევა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მეტი დადებითი ეფექტის მისაღებად რეკომენდებულია გოგრის ზეთის მიღება. გოგრის ზეთის სასარგებლო თვისებები ძალიან დიდია, თუმცა საჭირო რაოდენობის ბუნებრივი გზით მისი მიღება საკმაოდ რთულია. 1 ლიტრი ზეთის მისაღებად საჭიროა 2,5 კგ გოგრის თესლი ან 40 ცალი საშუალო ზომის გოგრა. ამიტომ წამყვანი ფარმაცევტული კომპანიები მას კაფსულების სახით უშვებენ. ასეთია "გოგრის ზეთის კაფსულები", **გოგრის ზეთი "LIK" თუთია**, რომელიც რბილ ჟელატინის კაფსულებს წარმოადგენს და **მხოლოდ სახალხო აფთიაქის ქსელში** იყიდება. ერთი კაფსულა სწორედ გოგრის ზეთის ყოველდღიურ აუცილებელ რაოდენობას შეიცავს.

იგი მდიდარია:

- ადვილად ასათვისებელი ცილებით, პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავებით, როგორიც არის: ლინოლეისა და ოლეინის მჟავა;
- A, E, B, C, P, K ვიტამინებით;
- მაკრო და მიკრო ელემენტებით: რკინა, მაგნიუმი, ფოსფორი, კალციუმი, თუთია, სელენი;
- ფოსფოლიპიდებით, ფლავონოიდებით, კაროტინოიდებითა და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით.

10 მიზეზი, რომელთა გამოც გოგრის ზეთი "LIK" თუთია უნდა მივიღოთ:

1. აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს;
2. ხელს უწყობს მეხსიერების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას;
3. აუმჯობესებს საშარდე სისტემის მოქმედებას; ეფექტურია პროსტატისა და წინამდებარე ჯირკვლის ადენომის დროს;
4. აწესრიგებს მხედველობის პრობლემებს (მასში 5-ჯერ მეტი კაროტინი შედის, ვიდრე სტაფილოში და 3-ჯერ მეტი ვიდრე საქონლის ღვიძლში).
5. ეფექტურია სიმსუქნის, ღვიძლის ცხიმოვანი დისტროფიისა და ალკოჰოლური დაზიანებისას;
6. ეფექტურია კუჭის წყლულის, კოლიტის, შეკრულობის, ბუასილის, უკანა ტანის ნახეთქების დროს;
7. იგი საუკეთესო ანტრიოქსიდანტია და აძლიერებს იმუნურ სისტემას.
8. მონაწილეობს სისხლწარმოქმნის პროცესში;
9. დადებითად მოქმედებს სასუნთქი სისტემის დაავადებებზე. აქვს ანთების საწინააღმდეგო მოქმედება;
10. ეფექტურია ჰელმენთების (ჭიებით ინვაზიის) დროს;

გამოყენების წესი:

მიიღება პერორალურად ჭამამდე 30 წუთით ადრე ან ჭამიდან 2 საათის შემდეგ 1-2 კაფსულა დღეში 1- ან 2-ჯერ, თბილი წყლის მიყოლებით.

არ გამოიყენოთ ორსულობის პერიოდში, ლაქტაციის დროსა და პაციენტებში ორგანოთა გადანერგვის შემდეგ.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა